ეკონომიკური კრიზისი და გუნდური მართვის არადემოკრატიულობა

საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად რეგულარული და ამასთან პროგნოზირებადია ეკონომიკური რყევები, ჩემის აზრით, ისეთსავე პრობლემათა წრეს განეკუთვნება, როგორსაც საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად რეგულარული და პროგნოზირებადია მიწისძვრები. ჯერ-ჯერობით, ის, რომ დედამიწაზე მიწისძვრები გარკვეული პერიოდულობით არ ხდება, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მიწისძვრები არ ხდება. ის ხდება, მართალია არაპერიოდულად, მაგრამ ადამიანთა მოდგმისთვის ეს უსაშინლესი მოვლენა რეგულარულად ხდება. რაც შეეხება პროგნოზირებას, ის რომ მიწისძვრები არაპროგნოზირებადია, ეს მხოლოდ და მხოლოდ იმაზე მიანიშნებს, რომ ადამიანების მიერ დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება ჯერ-ჯერობით არ იძლევა საკმარისი სიზუსტით პროგნოზირების შესაძლებლობას, რაც სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს ყოველთვის ასე იქნება. დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას ეკონომიკური ჯრიზისების შესახებაც.



თამაზ აქუბარდია

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ეკონომიკური კრიზისები ხდებოდა, ხდება და მომავალშიც მოხდება. ის, თუ როგორი პერიოდულობით, და რამდენად დაექვემდებარება პროგნოზირებას, ეს სრულიად სხვა საკითხია და ამ მიმართულებით ეკონომისტთა მრავალათასიანი არმიის ხანგრძლივი შრომა იქნება საჭირო.

ლოგიკურად ისმება კითხვები: **რა არის კრიზისების მიზეზი? რამდენად გარდაუვალია იგი და შესაძლებელია თუ არა მისი თავიდან აცილება**? ამ კითხვებს ეკონომიკური თეორია ცალსახად ვერ პასუხობს, თუმცა, **ჯონ მეინარდ კეინსის** ცნობილი მონოგრაფიის შემდგომ ჩამოყალიბდა, როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი პერიოდის ეკონომიკური რყევების თეორიები. სწორედ ამ თეორიებიდან კეთდება ზემოთხსენებული დასკვნები იმის შესახებ, რომ ეკონომიკური რყევები არარეგულარული და არაპროგნოზირებადია.

მე იმ ეკონომისტთა არცთუ მცირერიცხოვან კატეგორიას მივეკუთვნები, ვისაც ამ თეორიების კრიზისებთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებების მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულება გააჩნია და ფიქრობს, რომ ეკონომიკური რყევები რეგულარულ ხასიათს ატარებენ, აქედან გამომდინარე, გვინდა ეს ჩვენ თუ არა, მათი არსებობა ობიექტური რეალობაა. თუმცა, ისიც უნდა შევნიშნო, რომ შესაძლებელია ეკონომიკური რყევების პროგნოზირება და მისი ზემოქმედების შეძლებისდაგვარად შემცირება, ან ყველაზე კარგ შემთხვევაში, მაშინ, როდესაც რეცესიის საწყისი პერიოდია და იგი ჯერ არ არის გადასული დეპრესიაში, თავიდან აცილებაც, თუმცა, სამწუხაროდ არა ყოველთვის.

მსოფლიო საფინანსო კრიზისის პერიპეტიები

იმისათვის, რომ ჩემი დასკვნები განცხადებების დონეზე არ დარჩეს, განვიხილოთ დღეისათვის მსოფლიოში მიმდინარე უზარმაზარი საფინანსო კრიზისის პერიპეტიები.

პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ ამერიკაში დაწყებული საფინანსო კრიზისი (სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას), მსოფლიო საფინანსო კრიზისში გადაიზარდა და უკვე არის იმის საშიშროება, რომ წლის ბოლოსათვის იგი მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისში გადაიზარდოს. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, მიმდინარე კრიზისი თავისი მასშტაბებით 1929-1933 წლების ამერიკაში მძვინვარე „დიდ დეპრესიას“ თუ შეედრება. მათივე აზრით, მაშინდელი კრიზისი ისეთ საშინელ მასშტაბებს არ მიიღებდა, ხელისუფლება რომ უფრო აქტიურად ჩარეულიყო მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებში. მაშინდელმა ხელისუფლებამ ვერ გაბედა სასწრაფო მონეტარული პოლიტიკის განხორციელება. მათ, მაშინ, არც ამის გამოცდილება ჰქონდათ და, მითუმეტეს, ამის შესახებ არც ეკონომიკური თეორია ამბობდა რამეს.

იმდროინდელმა მწარე გაკვეთილებმა ამერიკის ხელისუფლება აიძულა დღეს უფრო აქტიურად ჩარეულიყო საფინანსო სისტემაში მიმდინარე პროცესებში. თუმცა, როგორც ლეგენდარულმა **ალენ გრინსპენმა**, ამერიკის ფედერალური სარეზერვო სისტემის ყოფილმა თავმჯდომარემ განაცხადა, ხელისუფლების მხრიდან პროცესებში აქტიური ჩარევა დაგვიანებულია, რაშიც მასაც მიუძღვის ბრალი და ამიტომ, პროცესების ასეთი განვი-

თარებისათვის, თავის წილ პასუხისმგებლობას ისიც იღებს.

გატარებული ღონისძიებების შედეგად ამერიკის კონგრესმა თანხმობა განაცხადა, საბანკო სისტემას პირველი ტრანშის სახით 250 მლრდ დოლარი გამოყოფოდა; საჭიროების შემთხვევაში დამატებით კიდევ 100 მლრდ დოლარის ინექცია გაკეთდება. ამის შემდეგ ხელისუფლება მზად არის კიდევ 350 მლრდ დოლარის გამოყოფაზე. ანუ, მთლიანობაში, გამოყოფილი თანხის სიდიდე ასტრონომიულ ციფრს, – 700 მლრდ დოლარს მიაღწევს. აი, ასეთი ექსტრემალური ღონისძიებების გატარება მოუწია ამერიკას ფინანსური კრიზისის დასაძლევად.

თუმცა, ეს ღონისძიებები სულაც არ ნიშნავს იმას, რომ კრიზისი დაძლეულია, მაგრამ, ალბათ იმის თქმა ნამდვილად შეიძლება, რომ კრიზისის შემდგომი გაღრმავება აღარ მოხდება. მართლაც, ამ ღონისძიებების პასუხად, უმთავრესი ეკონომიკური ინდექსების ვარდნა ჯერ შემცირდა, შემდეგ შეჩერდა და ბოლოს, ინდექსები ძალზე უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც ზრდის მიმართულებით შეტრიალდა.

ცხადია, ინდექსების მოძრაობის ასეთი დინამიკა სულაც არ ნიშნავს, რომ კრიზისი დამთავრდა, მაგრამ სასიკეთო ტენდენციების გამოკვეთის პერსპექტივა უკვე ჩანს, ანუ ფსიქოლოგიური ფაქტორი ნელ-ნელა ამუშავებას იწყებს. ახლა საჭიროა ეს პროცესები ჯერ ტენდენციაში გადაიზარდოს და შემდეგ რეალურ ზრდაში. მხოლოდ მაშინ შეიძლება ითქვას, რომ კრიზისი დაძლეულია. ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ მხოლოდ საფინანსო კრიზისის დაძლევაზე გვაქვს საუბარი, თორემ ეკონომიკური კრიზისი ჯერ კიდევ წინ გველოდება.

რატომ მცირდება ფასები?

რადგან ეკონომიკურ კრიზისს შევეხე, მინდა შევნიშნო, რომ დღეს მსოფლიოში სახეზე გვაქვს სტაგნაციური პროცესები, ანუ პროცესები, რომელიც ხასიათდება უმუშევრობის ზრდით, ფასებისა და წარმოების მოცულობის შემცირებით. სტაგნაციის პერიოდი ზემოთ აღნიშნულ მოვლენებთან ერთად, სწორედაც რომ ფასების შემცირებითაც ხასიათდება. როგორც ცნობილია, ეკონომიკური თეორიის სახელმძღვანელოებში სტაგნაციის განმარტებაში არაფერია ნათქვამი ფასების შემცირებზე. დაბეჯითებით ვაცხადებ, რომ სტაგნაციის შემთხვევაში წარმოების შემცირებისა და უმუშევრობის ზრდასთან ერთად ადგილი აქვს, ფასების შემცირებასაც. სწორედ ამით განსხვავდება იგი სტაგფლაციისაგან და თუ არა ეს განსხვავება სტაგნაციის ცნება აზრს კარგავს. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია მსოფლიო ბაზარზე ნავთობზე არსებული ფასების კოლოსალური შემცირება. ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა ხორბლის მსოფლიო ფასებიც და ის, რომ საქართველოს ამ მხრივ არაფერი დატყობია, ეს მხოლოდ მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ჩვენს არასაკმარის ინტეგრირებულობაზე მეტყველებს.

მაშინ რატომ იზრდება ფასები?

რაც შეეხება რიტორიკულ შეკითხვას იმაზე, რომ მთელ რიგ პროდუქტებზე ფასებმა მნიშვნელოვნად მოიმატა, ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ხანგრძლივი მოხმარებისა და ე.წ. ფუფუნების საგნებზე ფასების შემცირება ყველასათვის თვალსაჩინოა. მაგალითისათვის შეიძლება ითქვას, რომ ისეთმა საავტომობილო გიგანტმა, როგორიცაა **„მიცუბიში“**, უკვე ოფიციალურად განაცხადა, რომ გაყიდვების მოცულობას ამცირებს. იგივე განაცხადა **„ჰონდამ“, „მერსედესმა“**. უნდა ვივარაუდოთ, რომ სხვა საავტომობილო გიგანტებიც ანალოგიურ ღონისძიებებს გაატარებენ. მოკლედ რომ ვთქვათ, ფინანსური კრიზისის შედეგად, ზემოთაღნიშნულ ფირმებთან ერთად, ფასები დაიწევს ყველგან და გარდა ამისა იქაც, სადაც კი სპეკულაციურ ფასებს ჰქონდა ადგილი. **რაც შეეხება მთელ რიგ საქონელზე ფასების ზრდას, ეს პირველ რიგში, პირველადი მოხმარების საგნებს შეეხება და ამის მიზეზიც ადვილი ასახსნელია. დღეს ბიზნესი ბევრად უფრო დივერსიფიცირებულია, ვიდრე ადრე და, ამდენად, იგი ცდილობს ერთ დარგში მიყენებული ზარალი მეორე დარგში ფასების ზრდით აინაზღაუროს. ამისათვის კი პირველადი მოხმარების საგნები შესანიშნავი საშუალებაა.**

„რა გვჭირს ჩვენ ბრეგვაძეებს ვინმეს სამათხოვრო“?!

ძალზე უცნაურია (თუ მეტი არა), ევროპის ქვეყნების რეაგირება მსოფლიო საფინანსო კრიზისზე და განსაკუთრებით მისი უდავო ლიდე-

რების, – **გერმანიისა** და **ინგლისის** პოლიტიკა.

ინგლისის პრემიერმა **გორდონ ბრაუნმა** ცალსახად განაცხადა, რომ ამერიკელებისგან განსხვავებით, ინგლისის მთავრობას არ მიაჩნია მართებულად, საბანკო სფეროსთვის ისეთივე ფორმის მხარდაჭერას მიმართონ, როგორსაც ამერიკელები ახორციელებენ. კერძო სექტორმა თავად უნდა გადაჭრას თავისი პრობლემები. რაც შეეხება გერმანიას, ეს ძალზე საინტერესო შემთხვევაა, რაზეც ღირს ყურადღების გამახვილება.

გერმანული ბანკების დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ, რომელთა შორისაც განსაკუთრებით აქტიურობდა გერმანიის ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკი **„დოიჩე ბანკი“,** გერმანიის კანცლერმა **ანგელა მერკელმა** ოფიციალურად განაცხადა, რომ ხელისუფლება მზად არის საბანკო სფეროს რეალური დახმარება გაუწიოს, საუბარია 450 მლრდ ევროზე. ამ ინექციის საფასურად ხელისუფლებამ რამდენიმე პირობა დაასახელა, რომელთა შორისაც ერთი პირობა, რომელიც ამ ჩამონათვალში გერმანიის ფინანსთა მინისტრის დაჟინებული მოთხოვნით შევიდა, იმაში მდგომარეობდა, რომ ის ბანკები, რომლებიც სახელმწიფოსგან დახმარებას მიიღებდნენ, მათ ხელმძღვანელობას ხელფასები წელიწადში 500 ათას ევრომდე შეეზღუდებოდა(?). ყოველგვარ პრემიებზე და სხვა სახის შეღავათებზე ხომ ლაპარაკიც არ უნდა ყოფილიყო(?!)

როგორ ფიქრობთ, როგორი იყო ბანკების ხელმძღვანელთა რეაქცია ამ მართლაც ლოგიკურ წინადადებაზე. **„დოიჩე ბანკის“** ხელმძღვანელმა, ვინმე(?) **აკერმანმა,** რომელიც ყველაზე დაჟინებით მოითხოვდა მთავრობის დახმარებას, **„შერეკილების“** გმირის მსგავსად განაცხადა, – **„რა გვჭირს ჩვენ ბრეგვაძეებს მთავრობის დასახმარებელი? ჩვენ ისე არ დავეცემით, რომ მთავრობას დახმარება ვთხოვოთ“.** მასვე მიბაძეს სხვა ბანკებმაც და მხოლოდ ერთმა გერმანულმა ბანკმა, რომელსაც კრიზისის დაწყებამდეც ჰქონდა პრობლემები, გამოხატა მზადყოფნა ფინანსურ დახმარებაზე.

როგორ ავხსნათ ეს ყველაფერი? თუ ეს მართლაც კრიზისია, როგორ შეიძლება უარი თქვა დახმარებაზე, ნუთუ ნახევარი მილიონი ევრო ხელფასი მათ ფულად არ მიაჩნიათ? ოღონდ კი გარეშე თვალი შენს სამზარეულოში არ ჩაახედო და მზად ხარ კრიზისიდან დამოუკიდებლად გამოხვიდე? თუ გაკოტრებაც არ არის ცუდი ვარიანტი? ვინ იცის! ყოველ შემთხვევაში ეს გახლავთ საბაზრო სისტემის **„მთელი ხიბლი“,** მისი პრინციპებისადმი ურყევი ერთგულება, ყველა სიტუაციიდან მაქსიმალური მოგების მიღების მცდელობა.

კრიზისის გამომწვევი მიზეზები და მისი პოლიტიკური მდგენელი

და მაინც, მოდით გადავიდეთ ჯერ ხსენებული კრიზისის გამომწვევ მიზეზებზე და შემდეგ შევეცადოთ ჩამოვაყალიბოთ კრიზისების თეორიის მიმართ ჩვენი დამოკიდებულება.

ჯერ გავიხსენოთ როგორ დაიწყო კრიზისი. დაახლოებით 7,5 მილიონმა ამერიკელმა აიღო ე.წ. **„იპოთეკური კრედიტი“**, რომელიც ჩემის აზრით, საკმაო დოზით კორუფციულ გარიგებებს შეიცავდა, რადგანაც კრედიტის ამღებთა არც თუ მცირე ნაწილის ე.წ. **„საკრედიტო ისტორია“** არ იძლეოდა იმის გარანტიას, რომ ისინი კეთილსინდისიერად დააბრუნებდნენ კრედიტებს. ეს კი ცხადია **„ლამაზი თვალებისთვის“** არ მოხდებოდა. შედეგმაც არ დააყოვნა და დაახლოებით 2,5 მილიონმა ამერიკელმა კრედიტების დაფარვა დროულად ვერ შეძლო. ეს კი უკვე ხელისუფლების აშკარა სისუსტეზე, თუ (უფრო მეტი არა) მიუთითებს. ხელისუფლების მხრიდან სისუსტის გამოვლინების პირველ მაგალითად, ჯერ კიდევ 2002 წელს, უდიდეს ენერგოკომპანიასთან – **„ენრონთან“** დაკავშირებული სკანდალიც გამოდგება, რომელმაც უზარმაზარი რეზონანსი გამოიწვია მთელს ამერიკაში. ასეთი რეზონანსის მიზეზი ის კი არ გახლდათ, რომ ხსენებულ კომპანიაში 2 მილიარდამდე დოლარის დატაცებას ჰქონდა ადგილი, რაც თავისთავად ძალზე საგანგაშო იყო. სკანდალის მიზეზი პრეზიდენტის ერთი შეხედვით სრულიად სამართლიანი და საკმაოდ უწყინარი სიტყვები გახდა. კერძოდ, იგი დაემუქრა მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებს, რომ გასცემდა განკარგულებას, რათა აუდიტორულ სამსახურებს ამერიკის ყველა უმსხვილესი კომპანიების საფინანსო საქმიანობა შეესწავლათ. პრეზიდენტის ამ განცხადებამ უსაშინლესი რეაქცია გამოიწვია მსოფლიო საფინანსო ბაზრებზე. ყველა უმნიშვნელოვანესმა



საფინანსო ინდექსმა მომენტალური ვარდნა დაიწყო. წარმოდგენაც კი ძნელია რა მოხდებოდა ბირჟებზე, პრეზიდენტს თავისი დანაპირები რომ შეესრულებინა. მან ეს არ შეასრულა. ეტყობა გადააფიქრებინეს(?).

აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სახელისუფლებო წრეებში იცოდნენ რაც ხდებოდა **„იპოთეკურ კრედიტებთან“** დაკავშირებით, მაგრამ... საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ საპრეზიდენტო უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე ცოტახნით ადრე, რიგ ქვეყნებში ბევრი უცნაურობები შეიძლება მოხდეს. ერთი რამ კი ფაქტია. ამერიკაში დაწყებულ საფინანსო კრიზისზე მთელი პასუხისმგებლობა ამერიკის ხელისუფლების კისერზეა. და თუკი ეს ასეა, ამის თავი და თავი უმაღლესი ხელისუფალი გამოდის.

ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲣᲠᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲜᲢᲘᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲝᲑᲐ

როგორც წესი, ყველაზე დემოკრატიულ ქვეყნებშიც კი, ხელისუფლების დაკომპლექტება გუნდური პრინციპით ხდება, რაც თავისთავად არ არის დემოკრატიული. უფრო მეტიც, იგი ანტიდემოკრატიულია. ამის მიუხედავად, ხელისუფლების გუნდური პრინციპით დაკომპლექტების გამართლება იმ მოტივით ხდება, რომ ის, ვინც პასუხისმგებლობას იღებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, მასვე უნდა ჰქონდეს მთავრობის (და არა მხოლოდ მთავრობის, არამედ პრაქტიკულად ხელისუფლების ყველა შტოს) დაკომპლექტების უფლება. რას ვღებულობთ შედეგად?



აქ აუცილებლად უნდა გავიხსენოთ გენიალური პლატონის სიტყვები, რომელმაც მთელი 2400 წლის წინათ დაწერილ ნაშრომში **„პოლიტიკა“**, დემოკრატიის შესახებ თქვა: **„თუ ავიღებთ ყველა სახელმწიფოებს საუკეთესო მდგომარეობაში, ოლიგარქიასა და სხვებს, მაშინ ყველაზე უარესი იქნება დემოკრატია, მაგრამ თუ განვიხილავთ მათ ცუდ მდგომარეობაში, მაშინ დემოკრატია იქნება საუკეთესო“.** ეს იდეა 2300 წლის შემდეგ დიდმა პოლიტიკოსმა, **უინსტონ ჩერჩილმა** უფრო მოხდენილად გააჟღერა, **–„დემოკრატიას, როგორც მმართველობის ფორმას, უკეთესის არარსებობის გამო ვირჩევთ“.**

რა ხდება რეალურ პრაქტიკაში? თუ უმაღლესი ხელისუფალი მართლაც ჭკვიანია, რისი ალბათობაც არც თუ ისე მაღალია, და ეს არცთუ ისე მაღალი ალბათობა ქვეყნიდან ქვეყანამდე მხოლოდ უარესობისაკენ იცვლება, მაშინ დემოკრატიის საჭიროება არ არის და მისი გუნდის წევრებს მხოლოდ კარგი შემსრულებლობა მოეთხოვებათ, რისი საუკეთესო მაგალითიც ნაპოლეონ ბონაპარტეს გუნდი გახლავთ, ხოლო უახლოესი წარსულიდან, – იოსებ სტალინის გუნდი.

თუ უმაღლესი ხელისუფალი ჩვეულებრივი, ორდინალური ჭკუისაა, მაშინ თუ მას იმდენი ჭკუა მაინც აქვს, რომ ჭკვიანი ხალხი შემოიკრიბოს გარშემო, რისი ალბათობაც ძალზე ცოტაა, მაშინ ქვეყანას, შეიძლება ითქვას, გაუმართლა; მაგრამ თუ მას ჰგონია, რომ ის ჭკვიანია და გადაწყვეტილებებს ერთპიროვნულად იღებს, მაშინ მისი გუნდის წევრები კორუფციის ჭაობში ეფლობიან. მითუმეტეს, თუ ეს დიდ ქვეყანაში ხდება, მაშინ მსოფლიო საფინანსო კრიზისების პროვოცირება ხდება, ხოლო თუ ეს პატარა ქვეყნებში, – მაშინ, უფრო პოლიტიკურ კრიზისს აქვს ადგილი, შესაძლოა მსოფლიო მასშტაბისაც.